# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 252 (272) ოთხშაბათი, 25 დეკემბერი. 1991 წელი ფასი 10 კაპიკი


# ...მომავალი ჩვენია!

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა ქართველ ერს

ქვირფასო თანამემამულენო! როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს. იმპერიულმა ძალებმა და მისმა აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვიეს საყოველთაო დესტაბილიზაცია. გრძელდება ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალადობით დამხობის ცდები.

მინდა გესაუბროთ, თუ რა მეთოდებით ცდილობს ე. წ. ოპოზიცია ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება, თუ რა დეზინფორმაციებს ავრცელებს ქალაქში და მთელ საქართველოში. მსურს ქართველმა ერმა შეიტყოს სიმართლე ყოველივე იმის შესახებ, რაც ხდება.

ამჟამად ჩვენ ვართ კვლავ პარლამენტის შენობაში, რომელსაც ესვრიან ჭურვებს, იგი მნიშვნელოვანწილად დააზიანეს, მაგრამ მთავრობის სასახლის, პარლამენტის შენობაში არის ჩვენი დიდი ძალები. ისინი ვერასგზით შესძლებენ მის აღებას, თუმც კი ამტკიცებენ, თითქოს პარლამენტის შენობის აღება შტურმით მოხდება.

ძირითად ქუჩებს და მაგისტრალებს ჩვენ ვაკონტროლებთ, თუმცა არის გარკვეული ქუჩები, სადაც ბანდიტები არიან დაბანაკებულნი. მათი შეიარაღებული ძალები განლაგებულია სასტუმრო „თბილისსა“ და კავშირგაბმულობის შენობაში. იქიდან გვესვრიან ჩვენც და ხშირად მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ერიდებიან.

ტელევიზია, რადიოხაზი, კავშირგაბმულობა ბლოკირებულია. ე. წ. ოპოზიციამ პრაქტიკულად გამოიყვანა მწყობრიდან სატელეფონო კავშირები.

დეზინფორმაციაა, თითქოს მე დავთანხმდი მათ ულტიმატუმზე გადადგომის შესახებ. ის, რომ საქართველოში თითქოს აღარ არსებობს ხელისუფლება, ესეც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორია.

მე მოვუწოდებ მთელს საქართველოს აღდგეს და ამოუდგეს მხარში თავის მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, ალაგმოს მოღალატე ტერორისტთა ბანდა, რომელიც სჩადის ათასგვარ უმსგავსობას და რომლის მოქმედებაც განწირულია, ვინაიდან მთელი ქართველი ერი არის ჩვენთან.

მე მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება; ორჯონიკიძეებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს ქართველი ერი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

# რედაქტორისაგან:

გუშინ, დღის პირველ ნახევარში რედაქციას ეწვია რამდენიმე შეიარაღებული პიროვნება, რომლებსაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებდათ — „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელი ნომრის კორექტირება. მათი თქმით, 24 დეკემბრის ნომერი არ იძლეოდა მიმდინარე მოვლენების ობიექტურ სურათს. ისინი მოითხოვდნენ, რომ დღევანდელი ნომერი მათი უშუალო მეთვალყურეობით გამოშვებულიყო. კერძოდ, გაზეთის პირველ გვერდზე მკითხველისთვის უნდა გვეუწყებინა, რომ 24 დეკემბრის ნომრის ინფორმაცია ყალბია და ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა" „ობიექტურად" გააშუქებს მოვლენებს. ამ მიზნით სურდათ შეხვედრა მთავარ რედაქტორთან.

როგორც გაირკვა, ესოდენ უანგარო ზრუნვას უნებლიედ იმპერატიულ ელფერს ანიჭებდა მომხდურთა მიერ ავტომატებით ოსტატური მანიპულირება. ეს შთაბეჭდილება თვით პროფესორ ნოდარ ლომოურის მონუმენტურ ფიგურას ვერ გაუნელებია, რომელიც შეიარაღებულ ახალგაზრდებს ახლდა, ალბათ, როგორც წიგნიერებით მათგან გამორჩეული ჭარმაგი კაცი.

სამწუხაროდ ჩვენი შეხვედრა არ შედგა.

ხსენებული პიროვნებების კეთილშობილმა წადილმა ნაყოფი ვერ გამოიღო.

# ჩვენს საქმეს სხვა ვერ გააკეთებს

თუ არ ვცდები ჰერმან ჰესემ თქვა, რომ რაც უფრო უტიფარია ტყუილი, მით უფრო ძნელია მისი დანახვა. იგივე შეიძლება ალბათ ითქვას უზნეობაზეც: რაც უფრო ამაზრზენია, რაც უფრო შემზარავია, მით უფრო ძნელად აღსაქმელი და დასაჯერებელია იგი.

სწორედ ასეთი უზნეობის მოწმეა დღეს მთელი საქართველო. იმ დროს, როცა თბილისიდან ოთხმოციოდე კილომეტრში მიდის ომი, სადაც ქართველებს კლავენ მამა-პაპის მიწისათვის ბრძოლაში, შუაგულ თბილისში უკვე ოთხი დღე-ღამეა მიმდინარეობს შეუჩერებელი, [illegible] და მოხუცები. წარმოუდგენელია მსგავსი რამ, მაგრამ თბილისში მართლაც მეოთხე დღეა ქართველი კლავს თავის თანამოძმეს.

ბატონებო და მით უფრო ქალბატონებო! დღეს წყდება საქართველოს მომავლის საკითხი, ესე იგი თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავლის საკითხი. იგი იქნება ან ნათელი და სუფთა, ან სისხლიანი და საშინელი. ძალა, რომელიც ხელისუფლების სათავეში ლამობს მოსვლას თანამოძმეთა სისხლით გამძღარი, შეუძლებელია გახდეს სიკეთისა და ბედნიერების საწყისი. ეს არის ბოროტი ძალა, სატანური ძალა, რომელიც სულ უფრო მეტ და მეტ სისხლს მოითხოვს მომავალში. კაენის ცოდვა არ მოასვენებს ჩვენს შთამომავ- [illegible] ლობენ მოკლან არა ჩვენი პრეზიდენტი, არა ჩვენი პარლამენტის დეპუტატები, არამედ კლავენ თვითონ საქართველოს, მის სახელმწი-

ფოებრიობას; სწორედ იმ სახელმწიფოებრიობას, რომელზე ნატვრაც სამარეში ჩაჰყვა ქართველთა არა ერთ თაობას.

დღე არ გაივლის ისე, რომ რომელიმე ქვეყნის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ამბავი არ გავიგოთ. ნუთუ არაა ეს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზა, ნუთუ გვწყინს ჩვენ ეს.

ერთიც უნდა ვიკითხოთ: საიდან იარაღის ასეთი სიმრავლე და ნაირგვარობა? საიდან ამდენი ტყვია-წამალი? ყველაფერი ცხადზე ცხადია: მას, ვინც მოძალადეებს ამარაგებს, ეგ „სიკე- [illegible] ობრივი უფლება გვქონდეს ამ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრებისა.

**გია აბაშიძე**

# უზენაესი საბჭო, კონგრესი, პუტჩი

22 და 23 დეკემბერს რადიოსადგურმა „სვობოდამ" ვრცელი საუბრები დაუთმო საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენ დაწვრილებით არ შევუდგებით ამ ანალიტიკური ინფორმაციის ზოგად ანალიზს, ეს ცალკე საუბრის თემაა, გვინდა უბრალოდ გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება იმაზე, რომ ძირითადი თემა, რომელსაც ახლა ცდილობს ამოატივტივოს „სვობოდა" გახლავთ კონგრესის საკითხი.

ბატონი გუდავა დაწვრილებით მოუთხრობს მსმენელს იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს **ორი კანონიერად არჩეული ორგანო** — საქართველოს უზენაესი საბჭო და კონგრესი. ხალხმა თანაბრად გადაანაწილა მათზე ქვეყნისათვის პასუხისმგებლობა. მართალია, კონგრესს იმდენი მხარდამჭერი არ ყოლია, რამდენიც უზენაესი საბჭოს არჩევნებს, მაგრამ რახან 50 პროცენტზე მეტმა მაინც მისცა ხმა, ეს იმას ნიშნავს, რომ კონგრესიც ისეთივე კანონიერი ორგანოა, როგორიც დღევანდელი ხელისუფლება.

როგორც ჩანს, გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში იმედით ელიან საქართველოს ერთადერთი (რამეთუ, მთელმა საქართველომ იცის რომ კონგრესის არჩევნები არ შედგა) კანონიერი ხელისუფლების დამხობას და ცდილობენ წინასწარ დაიჭირონ თადარიგი. ეს გეგმა, ალბათ, ცნობილი იყო ჩვენი კონგრესმენი და მოკონგრესმენო ინტელიგენციისთვის, რამეთუ სწორედ მან ჯერ მოამზადა ატმოსფერო სახელმწიფო გადატრიალებისათვის, ხოლო როცა ხელისუფლების დამხობის მცდელობა რეალურად განხორციელდა, ჩრდილში გადგა.

ამ „დახვეწილი" პოლიტიკური ავანტიურის ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ვისი ხელითაც იკაფება გზა ძალაუფლებისკენ, მას პირველ რიგში უსწორდებიან. სახელმწიფოს სათავეში პუტჩისტ-უზურპატორს არც ერთი ქვეყანა არ სცნობს ოფიციალურ ხელისუფლებად. „კონგრესი" კი უფრო მშვიდობიანი სახელია — მასთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება, ხოლო მოგვიანებით „თანამეგობრობაში" გაერთიანება არც ერთი სახელმწიფოსთვის, მათ შორის რუსეთისთვის, საძრახისი არ იქნება.

ასე რომ, ტყუილად აკლავენ თავს „დემოკრატიას" სიგუა და კიტოვანი, მათი ბრძოლა უპირობოა — ისინი გამარჯვების შემთხვევაშიც დამარცხდებიან.

**თამარ ებრალიძე**

# ქართველებო, გამოდით!

გამოდით ქართველებო სიყვარულის დასაცავად, რამეთუ ის პირველადია. სიყვარული რომ არ ყოფილიყო, მზე ვერ ამოვიდოდა, ყვავილი ვერ გაიშლებოდა, ჩიტები ვერ იგალობებდნენ და დილაობით ვერცერთი ჩვენთაგანი თვალებს ვერ გაახელდა, სიტყვას ვერ იტყოდა, ვერ იმღერებდა. ღმერთის სიყვარული უზომოა.

ქართველებო გამოდით სამშობლოს დასაცავად. ღვთის ნებით იგი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ ლამაზია მისი მთა და ველი, მიწა და ზღვა. სხვა ასეთი მშვენიერი კუთხე დედამიწაზე არ არსებობს. მერე რა, რომ მოუვლელია. გავათავისუფლოთ და მოვუაროთ.

გამოდით ქართველებო ვაზის დასაცავად. ღვინო ხომ ჩვენი, ქართული არსის თანმხლებია. ღვინით და პურით ვეზიარებით ქართველები იესო ქრისტეს.

ქართველებო გამოდით დედის დასაცავად. დედა ხომ ტანჯულია, ვერც მახვილს აშინებს და ვერც ფიალას აწვდის, თუმცა კი მან მახვილი ულირსზე უნდა ასწიოს, მაგრამ რა ქნას, ისიც შვილია, შუაზე ხომ ვერ გახლეჩს?!

ქართველებო გამოდით თბილისის დასაცავად. მას გული ეწვის, სული უწუხს, უსამართლობა ახრჩობს.

გამოდით ქართველებო თქვენი კანონიერი და მართალი მთავრობის დასაცავად. მხოლოდ მას შეუძლია საქართველო გამოიყვანოს იმ „დიდი ბაბილონიდან", რომელიც ინგრევა და აღიგვება პირისაგან მიწისა.

გამოდით ქართველებო, რომ ვიხსნათ საქართველო!

ქართველებო გამოდით!

**მაია ბახტაძე**

# მიტინგი უნივერსიტეტის ბაღში

გუშინ 24 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში მოეწყო საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგი, რომელიც თითქმის სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მიტინგი მოეწყო თბილისელი მოქალაქეების ინიციატივით, რომელთაც გამოხატეს თავისი აღშფოთება ოპოზიციის ბარბაროსული ქმედების მიმართ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბატონი არჩილ ჭირაქაძე, დეპუტატები მაია მაჭავარიანი და გიორგი მარჯანიშვილი, მამა ზაქარია, მხატვარი ირაკლი ოჩიაური, ჰელსინკის კავშირის წევრი გია მაისაშვილი, მსახიობი და ჟურნალისტი ელენე საყვარელიძე, ქალბატონი მარინე მარჯანიშვილი და სხვ.

მომიტინგეთა მიერ მიმდინარე მოვლენათა შეფასება ერთსულოვანი იყო. არავითარი გამართლება ან შეწყნარება არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარ ქალაქში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებულ სასტიკ ომს. აღინიშნა, რომ მოვლენათა განვითარების ლოგიკა აშკარად ამჟღავნებს იმპერიული ინტერესების მონაწილეობას ოპოზიციონერთა მოქმედებაში. არ არის შემთხვევითი, რომ მიმდინარე პუტჩი მოჰყვა საქართველოს მიერ ცალსახა უარს მოეწერა ხელი ახალი თანამეგობრობის წევრობაზე. ქართველი ხალხი ამ ტერორიზმს აფასებს, როგორც დამსჯელ ზომებს ურჩი რესპუბლიკის მიმართ. ერი არ უნდა დაემორჩილოს ოპოზიციის მიერ მისთვის ძალით, იარაღით, ცეცხლით თავსმოხვეულ ნებას. საქართველოს სურს იყოს დამოუკიდებელი და მას აქვს ძალა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა.

მიტინგზე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც თავის თავზე აიღო საქართველოში კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მოძრაობის კოორდინირება, დასახა სამოქმედო გეგმა.

დღეს, 25 დეკემბერს უნივერსიტეტის ბაღში 12 საათზე კვლავ იკრიბებიან პრეზიდენტის მხარდამჭერი მოქალაქეები. ყველას ვისაც სურს გამოხატოს თავისი პოზიცია, ვთხოვთ მობრძანდეს უნივერსიტეტის ბაღში.

# ერთობისაკენ გვიხმობს საქართველო!

ბატონ ზვიად გამსახურდიას ტკივილით სავსე ხმა მოვისმინე ტელევიზიით. შიდაქართლში ჩვენს მიწებზე „რსფსრ"-ს სასაზღვრო აბრა აღუმართავს ოს სეპარატისტებს. მას შემდეგ ერთიანად სიმშვიდე დავკარგე, ტკივილი და შეურაცხყოფილი ღირსების განცდა დამეუფლა. აღარ გვაკმარეს ჩვენი ძმების წამებული და დაჯიჯგნილი სხეულები, ჩვენი მოხუცების უდანაშაულოდ ცეცხლში დაფერფლილი გულები, ახლა სურთ წაგვართვან ყველაზე მთავარი — სამშობლო, მიწა, ჩვენი ქართული მიწა. ამ ქვეყანაზე ქალად გავჩნდი, თორემ დღესვე ავისხამდი იარაღს და დავდგებოდი იქ, სადაც ჩემს სიცოცხლეს, ჩემს თანადგომას ითხოვს ქართული მიწა.

კომუნისტებმა რუსეთ-ოსეთ-საქართველოს საზღვარზე პირსისხლიანი ურჩხული დაგვიტოვეს, ყოველდღიურად რომ დაუნდობლად ნთქავს ჩვენი შვილების სისხლსა და სიცოცხლეს. დაწყევლილი იქნება, ედუარდ შევარდნაძე, სახელი შენი, შენ გაუხსენი იმ ურჩხულს შემოსაძრომი ხვრელი როკის გვირაბით და რუსულ ოცდაათ ვერცხლში გაყიდე ყველაზე დიდი საფიცარი ამქვეყნად — დედა სამშობლო. არადა, შვილები დიდები მაინც მყავდნენ, რომ ორთავ გამეშვა და მეც იმათ გზას გავყოლოდი ქართული მიწის დასაცავად.

სად ხარ ქართველის დაუშოშმინებელო, მეომარო სულო, გაიღვიძე თამარ ვაშლოვნელო, ფეხზე წამოდექ მაია წყნეთელო, საქართველოს გვართმევენ, დებო და ძმებო!

ასე როგორ ამოხაპა მტერმა სხეულიდან ქართული სული რომ საკუთარ კეთილდღეობასა და ჰინჩებზე ზრუნვის მეტი აღარაფერი გვახსოვს? ჩვენი შეცდომები ჩვენვე უნდა გამოვისყიდოთ, რადგან ბევრმა გავაზარმაცეთ, მეომარი სული ჩავუკალით, ქურდებად და მკვლელებად გამოვზარდეთ ჩვენი შვილები, დავავიწყეთ მას ყველაზე მთავარი — საქართველო, დღეს რომ საქართველოს იმდენი მეომარი მებრძოლი და სამშობლოს დამცველი ჰყავდეს, რამდენიც ქურდობისათვის, არაკაცობისათვის, ბანდიტობისათვის, გლეჯვისთვისა და მოძმის კვლისათვის თავგადადებული კაცი ჰყავს, ვერავინ გაბედავდა საქართველოსკენ თუნდაც ერთი ტყვიის გამოსროლას. დღეს რომ საქართველოს იმდენი პატრიოტი ქართველი დედა ჰყავდეს, რამდენიც უცხოეთში დოლარებისა და ჰინჩების საშოვნელად გაქცეული სპეკულანტი და მეძავი ჰყავს, საქრთველოს ვერავინ გაუბედავდა თუნდაც ერთი შვილის წართმევას. აკი ამიტომაც არის, რომ დღეს ქართულ გვარებს ამოფარებული ჩრჩილები თბილისში დათარეშობენ, ჯავშანტრანსპორტიორებით, ტყვიამფრქვევებით ახუნძლულები და სამშობლოსათვის თავდადებულ ბატონ ზვიად გამსახურდიას ლამის არის ჩასუნთქულ ჟანგბადს უწონიან.

სხვა ვერავინ უპოვნიათ ტყვიისა და ყუმბარის დასამიზნებლად. შიდა ქართლი კი გოდებს და გმინავს მაშინ, როდესაც „მეომარი ქართველები" სიხარბისაგან და შურისაგან აკანკალებული მზერით მთავრობის სახლში დადგმულ ერთ სკამს მისჩერებიან და მზად არიან თუნდაც მთელი საქართველო ანაცვალონ და შესწირონ მის ხელში ჩაგდებას.

გამოიღვიძეთ ქართველებო, პირუტყვებს ნუ დავემსგავსებით.

ქართველო ქალებო, კვლავ მოვიხედოთ საქართველოსკენ. გავაღვიძოთ სულში ხატება თამარ დედოფლისა, ფეხშიშველი, რომ უძღოდა ქართულ ლაშქარს ბასიანისაკენ, გავაღვიძოთ სულში ხატება თამარ ვაშლოვნელისა და მაია წყნეთელის, ძმებისა და მამების გვერდით რომ ატრიალებდნენ ხმალს სამშობლოს გადასარჩენად. სწორედ ეს ხატება, სწორედ ეს სული გვშველოდა ოდითგან და ახლაც ეს გვიშველის.

ერთობისაკენ, თანადგომისაკენ გვიხმობს საქართველო!

**ლელა ზარანდია,**
ხობის რაიონი, სოფელი პატარა ფოთი

# მშვიდობიანი შტურმი — პრივატიზაციის მოთხოვნით

[illegible] მიანის სიცოცხლე...

...გახსოვთ ალბათ მათი გასვენების ცერემონიალი... გახსოვთ ალბათ სიტყვა, [illegible] დღეა მძიმე არტილერიით, რაკეტებით, ჯავშანტრანსპორტიორებით მიმდინარეობს მასირებული შტურმი უზე- [illegible] ლა... ხოლო თბილისში ასეთი ბრძანება მიიღეს და შეასრულეს კიდეც...

**ლევან ერისთავი**

# თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...

ქართველებო! მოგმართავთ არა ქართულად მოლაპარაკე ადამიანებს, არამედ სულით ქართველებს, ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მათ, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა სულზე უტკბესია, მათ ვინც კარგად არჩევს თუ რა არის დღეს სუნთქვასავით აუცილებელი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსათვის.

ქართველებო, დადგა ჟამი ჭეშმარიტებისა. უზარმაზარი, კბილებამდე შეიარაღებული, სიცრუისა და სიბილწის იმპერია დამარცხდა, დამარცხდა, რადგან ვერ შესძლო ქართველი ხალხისა და მისი კანონიერი მთავრობის მოტყუება და საბოლოოდ ნიღაბი მოიხსნა. ახლა ცრუპატრიოტები, ცრუდემოკრატები, ცრუინტელექტუალები ქვემეხებით, ბომბებითა და რაკეტებით უტევენ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას, ანუ თვითონ ქართველ ერს.

ისინი აცხადებენ, რომ იბრძვიან დემოკრატიისთვის, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობაა. დემოს — ხალხს ნიშნავს ბერძნულად, კრატოს — მმართველობას, ხალხი მართავს მის მიერვე არჩეული მთავრობის მეშვეობით. როგორ შეიძლება ებრძოლო ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, ხალხის მმართველობის მოსასპობლად? ეს ხომ აბსურდია?

ისინი ამბობენ: ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობა.

ყველას გვახსოვს გალაკტიონის უკვდავი პწკარი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა..." დემოკრატია თავისუფლებაზე მნიშვნელოვანი რომ ყოფილიყო, ამ პწკარში თავისუფლების ადგილს დაიჭერდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ქართველი ხალხი ცუდ ლექსს მიიღებდა.

ისინი გაჰკივიან: გამსახურდია ახალგაზრდებს გვახოცინებსო.

ნუთუ სადმე კიდევ გაგონილა ამდაგვარი ცინიზმი? ანდა სამი-ოთხი წლით უფროსები არ ეცოდებათ? ან მთავრობის წევრები და დეპუტატები რა, ადამიანები არ არიან? ანდა საქართველოს პრეზიდენტის სიცოცხლე არაფრად ღირს? ან იქნებ შემთხვევითი გამვლელებისა და უიარაღო ხალხის მოკვლა შობის მარხვაში, ვაჟკაცობად უნდა ჩაითვალოს?

ქართველებო, დღეს მატყუარებისა და ცრუპენტელების შემოტევაა. ნუ შეშინდებით. სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს. სულ რამდენიმე დღეში საქართველო განთავისუფლდება სიცრუისა და სიბილწისაგან და ჭეშმარიტებისა და შენების ფართო გზაზე გააბიჯებს, ოღონდ ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა შეუწყოს ამაში ხელი.

**ოთარ ქართველიშვილი**

# მიმდინარე ქრონიკა

როგორც უკვე ვიუწყებოდით 22 დეკემბერს შეიარაღებულმა მომიტინგეებმა დაიწყეს შეტევა საქართველოს პარლამენტის შენობაზე.

კიტოვანის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას დაკავებული ჰქონდა სასტუმრო „თბილისი", ქაშუეთის ეზოს მიდამოები, კავშირგაბმულობის სახლი.

უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას ადამიას ხელმძღვანელობით დაკავებული ჰქონდა უნივერმაღი „თბილისი", მეტრო „თავისუფლების მოედანი" და თავისუფლების მოედნის მიდამოები.

სნაიპერები განლაგებული იყვნენ სილამაზის სალონ „ოცნების" და უნივერმაღ „თბილისის" სახურავზე.

22 დეკემბერს კიტოვანის ბანდამ განახორციელა მძლავრი შეტევა უზენაესი საბჭოს შენობაზე. გამოყენებული იყო ჰაუბიცები, მძიმე საარტილერიო ტექნიკა, ტყვიამფრქვევები, „ალაზნის" ტიპის ზარბაზნები, ჯავშანტრანსპორტიორები და ჯავშნიანი ტექნიკა.

მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა უზენაესი საბჭოს შენობას.

ფაქტობრივად, დღე-ღამის განმავლობაში კიტოვანი აწარმოებდა ცალმხრივ, უპასუხო დარტყმას უზენაესი საბჭოს შენობაზე.

თავდამსხმელები, როგორც კიტოვანის, ასევე ადამიას უკანონო ფორმირების მხრიდან, გამოირჩეოდნენ არაადამიანური სისასტიკით. ისინი არ ინდობდნენ დაჭრილებს, ტყვიას უშენდნენ სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანებს. მათ მიერ მეტროსთან მოკლული იქნა ქალი, მშვიდობიანი მოქალაქე. მათ, ვინც პროტესტს გამოთქვამდა ბანდიტების მოქმედების გამო, ტყვია დაუშინეს. ამავე დღეს იქნენ მოკლულნი მარტვილის წარმომადგენლები.

ამ ვითარებაში ურყევი იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება არ გასულიყო შენობიდან.

22-ში პუტჩისტებმა წამოაყენეს ულტიმატუმი, ითხოვდნენ პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას. როდესაც ულტიმატუმის ვადა გავიდა, საღამოს 6 საათზე მათ განახორციელეს მასირებული შტურმი.

22 დეკემბერს, საღამოს დაიწვა პირველი საშუალო სკოლა, დღეისთვის დამწვარია მხატვრის სახლი.

24 დეკემბერს, 23 საათსა და 30 წუთზე ცეცხლი ეკიდა კავშირგაბმულობის სახლს.

ამ ვითარებაში არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინეს საქართველოს ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებმა — ზუგდიდის, ახალციხის, რუსთავის, ყვარელის, ახმეტის, სამტრედიის, თბილისის საძმომ და სხვებმა; მათ შეძლეს ღამის შეტევის მოგერიება.

23 დეკემბერმა ჩაიარა გააფთრებულ ბრძოლებში სრულიად ნათელია, რომ ბანდიტური შეიარაღებული ფორმირებები კარგად მარაგდება იარაღით. 23 დეკემბერს შეტაკების დროს მოკლულ იქნა საბჭოთა არმიის ჯარისკაცი და დაიჭრა მაიორი. ორივე პიროვნება ეროვნებით რუსია. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა საბუთები.

23 დეკემბერს, დღის მეორე ნახევრიდან. გამოიკვეთა ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების უპირატესობა. დიდი დამსახურება მიუძღვის შინაგანი ჯარის ნაწილებს ჭელიძის მეთაურობით, ავღანელთა კავშირის წარმომადგენლებს გიორგაძის მეთაურობით, რეგიონებიდან ჩამოსულ აღნიშნულ ბატალიონებს, აგრეთვე ცალკეულ დეპუტატებს. მათ უდიდესი ვაჟკაცობა და თავდადება გამოავლინეს.

24 დეკემბერს, დილიდან ეროვნული არმიის ნაწილებმა მოიგერიეს პუტჩისტების თავდასხმა და თავად გადავიდნენ შეტევაზე. ბრძოლა წარმოებდა როგორც კიტოვანის, ასევე ადამიას უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან. ნათელი გახდა ეროვნული გვარდიის უპირატესობა და შეიარაღებულმა ბანდიტებმა იკადრეს უკან დახევა.

გუშინ, 23 საათსა და 30 წუთზე ძირითადად გაწმენდილი იყო რუსთაველის პროსპექტი, თუმცა აქა-იქ ჩასაფრებული იყვნენ პუტჩისტები. მიმდინარეობდა ბრძოლები ყოფილი ალექსანდრეს ბაღისა და თავისუფლების მოედნის მიდამოებში.

ხელისუფლებისა და ეროვნული არმიის რიგებში სრული ორგანიზებულობაა. ყველაფერს ხელმძღვანელობს და წარმართავს თავდაცვის შტაბი.

არის იმის საშიშროება, რომ იარაღასხმული ბანდიტები გავლენ რაიონებში, დაიწყებენ ტერორისტულ აქციებს და პარტიზანულ ომს. ამ შემთხვევაში საქართველოში შეიქმნება არა მარტო სამოქალაქო ომის საფრთხე, არამედ ეჭვ ქვეშ დადგება თვით საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა. ამიტომ საჭიროა, რომ მთელმა ქართველმა ერმა აღიმაღლოს ხმა, რათა ამბიციურმა უგუნურობამ არ დაღუპოს საქართველოს მომავალი.

ერის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, რომ კანონიერმა ხელისუფლებამ შეინარჩუნოს ძალაუფლება.

**საკუთარი ინფორმაცია**

მთავარი რედაქტორი **მარიკა აბაიშვილი**

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
ინდექსი 64434.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ